



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №188

2016 წლის 31 აგვისტო

ქ. მცხეთა.

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამკოდაში, ხოდაბუნების დასახლებაში მდებარე, მოქალაქე ზაალ სულაკაურის (პირადი №01008018554) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ №72.13.20.026.) დამისამართების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლის პირველი ნაწილის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს №11 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „დამისამართების კონცეფციის“, „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამკოდაში ხოდაბუნების დასახლებისა და მოქალაქე ნანა გელაშვილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ №72.13.20.025) დამისამართების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 ივნისის №88 განკარგულებისა და მოქალაქე ზაალ სულაკაურის (პირადი № 01008018554) პირადი განცხადების (№389. 19.08.2016წ.) საფუძველზე,

1. მოქალაქე ზაალ სულაკაურის (პირადი № 01008018554) საკუთრებაში არსებულ, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამკოდაში, ხოდაბუნების დასახლებაში მდებარე უძრავ ქონებას ს/კ №72.13.20.026) მიენიჭოს საფოსტო მისამართი

მცხეთა, სოფელი მამკოდა, ხოდაბუნების დასახლება ქუჩა №1, სახლი №13.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს:
 - 2.1. სერვისების განვითარების სააგენტოს მცხეთის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს;
 - 2.2. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს;
 - 2.3. მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
 - 2.4. ზაალ სულაკაურს (პირადი № 01008018554).
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოლაშვილი